პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 45 (747) | კვირა, 6 ივნისი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

მშრომელებს შევუქმნათ აქტიური დასვენების ყოველგვარი პირობა

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და აქტიური დასვენებისათვის. საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა გაჯანსაღებისა და ფიზკულტურისათვის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 29 მილიარდ მანეთს ხარჯავს. ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში შექმნილია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზების, სტადიონების, პარკების, [illegible]ლჯომარდობის სადგურების, ალპინისტური ბანაკების ფართო ქსელი. მარტო მიმდინარე წელს ყირიმსა და შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოსა და ჩვენი სამშობლოს სხვა საკურორტო რაიონებში აშენდა და მშენებლობის პროცესშია 40-ზე მეტი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, ათასზე მეტი სპორტული მოედანი, სტადიონი, პარკი და ა. შ.

საბჭოთა ქვეყნის პატრიოტები თავდადებით შრომობენ კომუნიზმის ასაგებად. სწორედ ამიტომაა მათი დასვენებისა და ფიზიკური გამოწრთობის საკითხი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. ეს კი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალებს ყოველგვარი პირობა შეუქმნან მათ იმისათვის, რომ რაციონალურად გამოიყენონ სამუშაოდან თავისუფალი საათები, დასვენების დღეები და შვებულება.

მშრომელთა დასვენების მოწყობის საქმეში ფიზკულტურასა და სპორტს ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება. უნარიანად მოვაწყოთ ფიზკულტურული მეცადინეობანი დამსვენებლებთან — ეს ნიშნავს ხელი შეუწყო მათ დახარჯული ენერგიის სწრაფად აღდგენაში.

რესპუბლიკის მრავალი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი მომზადებული შეხვდა საკურორტო სეზონს. საფუძვლიანად შეკეთდა სპორტული მოედნები, შეძენილ იქნა ინვენტარი. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით წყალტუბოს ზოგიერთ სანატორიუმზე. იქ დღემდე არ არის შექმნილი ნორმალური პირობები ფიზკულტურული მეცადინეობისათვის. ფიზკულტურული მუშაობის გაშლას უდავოდ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ზოგიერთ სანატორიუმში ფიზკულტურული მუშაკის ადგილი შემთხვევით პიროვნებებს უკავიათ. ისინი უფრო ხშირად სეზონურად მუშაობენ და დამსვენებელთა მომსახურებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს მრავალი შესანიშნავი ადგილი აკრავს. თბილისის „ზღვა", ლისის ტბა საინტერესო და დასვენებისათვის ყოველმხრივ გამოსადეგი ადგილებია. მაგრამ ორივე ბაზა ჯერ კიდევ მოუწყობელია. თბილისის „ზღვის" ნაპირი, სადაც კი ცურვა შეიძლება, ღარიბია მწვანე სამოსელით — ხეებით, ბუჩქებით, გაზონებით... დამსვენებელს საშუალება არა აქვს თავი დაიფაროს მცხუნვარე მზისაგან, მოგვარებული არ არის ტრანსპორტის საკითხი.

27 მაისს „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე და დაწყების შემდეგაც მეტად საინტერესო გამოსვლები გაიმართა მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ეს თაოსნობა მისასალმებელი და მოსაწონია. დედაქალაქის მშრომელებმა გარდა იმისა, რომ იხილეს თავიანთი ქალაქის მძლეოსნების, ტანმოვარჯიშეების, აკრობატების ოსტატობა, რამდენიმე რესპუბლიკური და საკავშირო რეკორდის დამყარების მოწმენიც გახდნენ.

მიმდინარე წელს შედარებით კარგი მდგომარეობაა დედაქალაქის პარკებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული მოედნები ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული სრული დატვირთვით. ხშირად მთელი კვირის მანძილზე მოედნებზე არავინ მეცადინეობს. სტალინირში ათასობით მანეთი დაიხარჯა კულტურისა და დასვენების პარკის შეკეთებაზე, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაინც არაა სათანადოდ მოწყობილი და მშრომელებს გონივრული დასვენების საშუალება არა აქვთ.

პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები მოვალენი არიან მიაღწიონ იმას, რომ სტადიონები და სპორტული მოედნები ყველგან გადაიქცეს აქტიური დასვენების მოწყობის ცენტრად. ახალგაზრდობა სტადიონებზე მარტო მაყურებლის როლში კი არ უნდა გამოდიოდეს, არამედ—მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედაც.

მშრომელთა დასვენების მოწყობა მეტად პასუხსაგები საქმეა. ამიტომ პროფკავშირულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უფრო ქმედითი და ნაყოფიერი მუშაობა მართებთ.

ევროპის პირველობაზე

4 ივნისს იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყო ევროპის 1954 წლის პირველობა კალათბურთში ქალთა შორის. გათამაშებაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, შვეიცარიის, ავსტრიის, იუგოსლავიის, დანიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები.

სსრ კავშირის გუნდი პირველობაში მონაწილეობს შემდეგი შემადგენლობით: ლ. ალექსეევა, ნ. არციშევსკაია, ა. ასიტაშვილი, ნ. ზაზნობინა, ე. ზარკოვსკაია, ვ. კოპილოვა, ვ. კულამი (ნაზარენკო) ნ. მაქსიმილიანოვა, ნ. მაქსიმოვა, რ. მამენტიევა, ტ. მოისეევა, მ. ოტსა, გ. სტიოპინა და დ. უზტუპე.

4 ივნისს ჩატარდა პირველობის ცერემონიალური გახსნა. პარადის შემდეგ აღიმართა პირველობის ალამი.

პირველი თამაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და დანიის გუნდებს შორის მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობა ჩეხების მხარეს იყო, რომელთაც დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 76:19.

ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა

4 ივნისს რომში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი კალათბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „მაირანის თასში" გამარჯვებული სსრ კავშირის გუნდი და ქ. ბოლონიის კლუბი — „ჯირა", რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა იტალიის ჩემპიონატში.

თამაში დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით. ანგარიშით 76:60.

შესანიშნავი შედეგი

მოსკოვში ნორჩ პიონერთა სტადიონის ველოტრეკზე დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ველოსიპედისტების ამხანაგური შეჯიბრება.

საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა რ. ვარგაშკინმა („ისკრა"). მან 200 მეტრი სვლით დაფარა 11,6 წამში, რაც 0,3 წამით უკეთესია მისივე საკავშირო რეკორდზე.

ათი ქულა

ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობის გათამაშება, რომელიც ქალაქ რომში მოეწყობა, მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების უძლიერესი ტანმოვარჯიშეები გაცხოველებით ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის.

29 და 30 მაისს სოხუმის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც მსოფლიო პირველობის წინ ძალების ერთგვარ დათვალიერებას წარმოადგენს.

ქალთა შორის სავალდებულო და ნებისმიერ პროგრამაში მოპოვებული ქულათა ჯამის მიხედვით ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: ს. მურატოვა, მ. გოროხოვსკაია, პ. დანილოვა, გ. შარაბიძე, ლ. დირი, თ. უალეევა, მ. ჯუღელი, გ. რუდკო, თ. მანინა, ნ ბოჩაროვა. ვაჟთა შორის უძლიერესთა ათეულში შევიდნენ ვ. ჩუკარინი, ვ. მურატოვი, ს ჯაიანი, ი ბერდიევი, ი. ვოსტრიკოვი, ბ. გაიდა, ბ შახლინი, ვ. იანენკო, ა. აზარიანი, ე. კოროლკოვი.

შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბჯენით ხტომებში ს ჯაიანი. მან მრავალჭიდის ჯამის მიხედვით მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ბჯენით ხტომებში კვლავ დაიმკვიდრა უძლიერესის სახელი — 19,9 ქულა. ჯაიანმა სავალდებულო ვარჯიშში მიიღო 9,9 ქულა, ხოლო ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებაში უმაღლესი შეფასება — 10 ქულა.

გარდამავალი თასი მესამედ

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში მოზარდთა ტანვარჯიშულ სკოლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ღონისძიებაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამას წინათ დამთავრებულ ასპარეზობაში პირველობისათვის ტანმოვარჯიშეთა 262 კოლექტივი იბრძოდა. საქართველო შეჯიბრებაზე წარსდგა ტანმოვარჯიშეთა 15 გუნდით.

წარმატება წილად ხვდა თბილისის ტანვარჯიშის მოზარდთა ცენტრალური სკოლის გუნდს, რომელმაც დააგროვა ქულათა მეტი რაოდენობა და მესამედ მოიპოვა გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე არიან ლენინგრადის სპორტსკოლის ტანმოვარჯიშეები, მესამეზე — ქუთაისის გუნდი.

„სპარტაკის" საზაფხულო სპარტაკიადა

ა. წ 1 მაისიდან 1 აგვისტომდე ფიზკულტურის საკავშირო დღის აღსანიშნავად ტარდება სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა. ეს დიდი ღონისძიება განხორციელდება 5 ეტაპად. იგი იწყება მასობრივი შეჯიბრებებით ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში, მეორე ეტაპზე შეჯიბრება ეწყობა სპორტსაზოგადოების ორგანიზაციებს შორის რაიონულ და საქალაქო მასშტაბით. სპარტაკიადის შემდგომი საფეხურია პირად-გუნდური პირველობები რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, ოლქების, მხარეებისა და ასსრ ორგანიზაციებს შორის. მეოთხე ეტაპს წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადები, საბოლოო, მეხუთე ეტაპია საკავშირო ფინალური სპარტაკიადა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის.

ფინალური შეჯიბრებები ჩატარდება რიგაში 23 ივლისიდან 1 აგვისტომდე. პროგრამაშია მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, კრივი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა და სპორტის სხვა სახეობანი.

სპარტაკიადის პირველი ეტაპის პროგრამაში უნდა იყოს არანაკლებ 3 სახეობისა, მათ შორის აუცილებელია — მძლეოსნობა, მეორე ეტაპზე — სპორტის 4 სახეობა, აქედან მძლეოსნობა და ერთ-ერთი სპორტული თამაშობა ფინალური პროგრამიდან — აუცილებლად. მესამე ეტაპის შეჯიბრებებში არ უნდა იყოს 5 სახეობაზე, ხოლო მეოთხე ეტაპზე — ფინალური პროგრამის 7 სახეობაზე ნაკლები.

იზრდება ოსტატთა რიგები

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ნორმატივების მოთხოვნათა შესრულებისათვის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

თავისუფალ ჭიდაობაში — ვ. გოგიაძეს (ქ. ქუთაისი „ისკრა").

საცხენოსნო სპორტში — მ. ძიძიგურს (თბილისი, „სპარტაკი"). **სასტენდო სროლაში** — დ. ციგანკოვს (თბილისი, საბჭოთა არმია). საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება სათხილამურო სპორტში მიენიჭა ა. არხანგელსკის (თბილისი, „ისკრა").

ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება

როგორც რეიტერის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი აუწყებს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თავის წევრად მიიღოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მაგრამ არ დააკმაყოფილა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადება მისი წევრად მიღების შესახებ. გარდა ამისა, ოლიმპიურ კომიტეტში მიღებულ იქნენ ეთიოპია, მალაია და კოსტა-რიკა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სხდომაზე გადაწყდა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დარჩეს გუნდური შეჯიბრებები (ფეხბურთი, ჰოკეი, კალათბურთი და წყალბურთი), მაგრამ გუნდის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16 კაცს. ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან არც ერთი სახეობა არ იქნა გამორიცხული და ამასთან მას არ დაემატა არც ერთი სახეობა გარდა ბატერფლაის სტილით ცურვისა. ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი თქვა წინადადებაზე 1956 წლის თამაშების პროგრამაში ჩაერთოს ფრენბურთი, მშვილდით სროლა, ჯიუ-ჯიცუ და რბოლა რგოლებიანი ციგურებით.

შეჯიბრებანი ქალთა შორის ჩატარდება ჩვეულებრივად. ოლიმპიურ თამაშებზე ნებადართული არაა სათადარიგო სპორტსმენების დაშვება ინდივიდუალური გამოსვლებისთვის.

ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება 1956 წლის XVI მსოფლიო ოლიმპიური თამაშები ჩატარდეს მელბურნში (ავსტრალია). ავსტრალიაში არსებული კანონები ცხენების ხანგრძლივი კარანტინის შესახებ საშუალებას არ იძლევა ცხენოსნობა მოეწყოს მელბურნში. ამასთან დაკავშირებით კომიტეტმა დაადგინა 1956 წლის თამაშების პროგრამიდან შეჯიბრება ცხენოსნობაში ჩატარდეს შვეციის დედაქალაქში სტოკჰოლმში ივნისის დასასრულს და ივლისის დასაწყისს. გადაწყდა, რომ მომავალში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უნდა წარედგინოს შეჯიბრებათა საბოლოო პროგრამა თამაშების დაწყებამდე ორი წლით ადრე.



რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე.

მდგომარეობა სწრაფად უნდა გამოსწორდეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიმდინარე წლის 25 მაისს დაამტკიცა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების 1954 წლის გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს გაცილებით მეტი თანრიგოსნების მომზადებას, ვიდრე გასულ წლებში.

ამ საპასუხისმგებლო საქმის წარმატებით შესასრულებლად დიდი მუშაობა უნდა გასწიონ პროფკავშირების სპორტულმა საზოგადოებებმა. მათ უნდა მოამზადონ სპორტსმენ თანრიგოსანთა მეტი რაოდენობა, ვიდრე რესპუბლიკის ყველა საზოგადოებამ და ორგანიზაციამ ერთად აღებულმა. მაგალითად, რესპუბლიკაში მოსამზადებელ 320 პირველთანრიგოსნიდან 230 პროფკავშირთა საზოგადოებებზე მოდის. აქედან „მედიკმა" უნდა მოამზადოს 48 პირველთანრიგოსანი, „ნაუკამ" — 40, „ისკრამ" — 38 და ა. შ. განსაკუთრებით გაიზარდა პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმა ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და სხვ. „კოლმეურნეს" ძირეულმა ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ მშთ I და II საფეხურის 15.000 ნიშნოსანი.

მიმდინარე წელს იმშთ და მშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა არაა დაშვებული განათლების სამინისტროსა და რკინიგზის სკოლებზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკოლებმა არ უნდა მოამზადონ ნიშნოსნები ან შეასუსტონ მუშაობა ამ მხრივ, როგორც ეს მოხდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში (სადაც აგრეთვე არ იგეგმება მშთ თანრიგოსანთა მომზადება). პირიქით, მშთ კომპლექსის გაუმჯობესებული პროექტი (რომელიც ახლო ხანში უნდა დამტკიცდეს) ითვალისწინებს ყოველი მოსწავლის მიერ იმშთ და მშთ I საფეხურის ნორმების სავალდებულო ჩაბარებას.

უკვე განვლო მიმდინარე წლის ხუთმა თვემ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში ადგილებიდან წარმოდგენილი პირველი კვარტალის შედეგები იმას მოწმობენ, რომ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით ჯეროვნად ვერ გაშალეს მუშაობა. ისინი რატომღაც უცდიდნენ, თუ როდის მიიღებდნენ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტიდან გეგმებს. ეს იმ დროს, როცა ყველა რესპუბლიკურ და საუწყებო ორგანიზაციას თავიანთი კოლექტივებისათვის უკვე ჰქონდათ შესაბამისი გეგმები.

პრაქტიკული მუშაობისათვის თავის არიდებისა და ამ ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობის მიმართ უსულგულო დამოკიდებულების შედეგად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში არ მომზადებულა მშთ პირველი საფეხურის არც ერთი ნიშნოსანი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ასევე არ მოუმზადებიათ სპორტსმენი თანრიგოსნები კასპის, დმანისის, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებში. უფრო სავალალო მდგომარეობაა გურჯაანის, დუშეთის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, ტყიბულის, წალკისა და ჭიათურის რაიონებში. გარდაბნის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, კაჰრეთის, ლენტეხის, მესტიის, თიანეთისა და ცხაკაიას ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტებმა რესპუბლიკურ კომიტეტში კვარტალური ანგარიშების გამოგზავნისათვისაც არ შეიწუხეს თავი.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების საქმეში. დღეისათვის მომზადებულია ფიზკულტურის კოლექტივის მხოლოდ 47 თავმჯდომარე და ფიზორგი, 20 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 104 მსაჯი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაავალა ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს სისტემატური და მკაცრი კონტროლი დააწესონ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმის ხარისხობრივად შესრულებაზე. კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად მოისმინონ გეგმების შესრულების მიმდინარეობა, დასაჯონ ის პირები, რომლებიც დაუშვებენ დარღვევებს ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადებაში და გამოიჩენენ ფიზკულტურელებისადმი ნაკლებ მომთხოვნელობას. კომიტეტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ და არ დაუშვან ერთი და იგივე პიროვნებებისათვის მშთ ნიშნისა და სპორტული თანრიგის განმეორებითი მინიჭების შემთხვევები

სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკურმა საბჭოებმა და უწყებათა ხელმძღვანელებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ფიზკულტურის კოლექტივებს ორგანიზაციულ-მასობრივი და სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში.

ა. დოკვაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსი.

ფული იხარჯება, შედეგი არ ჩანს

„მედიკის" აფხაზეთის საოლქო საბჭო (თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ე. მირესაშვილი) სუსტად მუშაობს. აქ თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გასული წლის გეგმა ვერ შეასრულეს. არც მიმდინარე წლის გეგმების შესრულებაზე ზრუნავენ. ტყვარჩელის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში დღემდე არ აქვთ ჩამოყალიბებული რაისაბჭოები.

ცუდად არის დაყენებული სექციების მუშაობა. კალათბურთის ცენტრალურ სექციაში მხოლოდ საფერშლო სკოლის მოსწავლეებია გაერთიანებული, სექციას მათივე მასწავლებელი ე. მარკელიანი ხელმძღვანელობს და გასამრჯელოსაც იღებს, რაც დაუშვებელია. ფორმალურად არსებობს ცურვის სექციაც. ერთადერთი იალქნიანი ნავი უპატრონობით ზღვის ტალღებმა იმსხვერპლა და ამჟამად მდინარე ბესლეთის ახლოსაა გამორიყული. პირველ და მეორე საავადმყოფოს ძირეულ კოლექტივებს მოწინავეებად ასახელებენ „მედიკის" საოლქო საბჭოში, სინამდვილე კი საწინააღმდეგოს გვიჩვენებს.

„მედიკში" ინსტრუქტორად აფხაზეთის ჩემპიონი ძალოსნობაში ა. არუთინიანი მიავლინეს, რომელიც ორი თვეა შეკრებაზე იმყოფება მოსკოვში და მხოლოდ მაშინ იგონებს საოლქო საბჭოს, როცა ხელფასის მიღების დროა.

პ. ლეთოდიანი

გაზეთის ჯილდოზე

ბათუმში მოეწყო ველორბოლა გაზეთ „საბჭოთა აჭარის" ჯილდოზე. პროგრამაში იყო რბოლა 50 კილომეტრზე ვაჟებისათვის, ქალებისათვის — 25 კილომეტრზე. მონაწილეობდნენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „პიშჩევიკის", „ტრუდის", „მედიკისა" და სხვა გუნდები. ბრძოლა გარდამავალი თასისათვის ძირითადად ორ კოლექტივს — „ტრუდსა" და „ბურევესტნიკს" შორის გაჩაღდა. გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა".

მ. კირაკოსიანი

მატჩის შემდეგ

◆

მ. ბოტვინიკი

მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში

◆

მეორეჯერ მომიხდა მატჩში დამეცვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, რომელიც 1948 წელს მოვიპოვე.

პირველ მატჩში ჩემი მოწინააღმდეგე იყო გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი, ამჯერად — გროსმაისტერი ვ. სმისლოვი. ამგვარად, უკანასკნელ წლებში მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის იბრძვიან მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკენი, რითაც, რასაკვირველია, უნდა ვიამაყოთ, რადგან ეს არის საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ღირსებათა დადასტურება.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ მიღებულმა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის განსაზღვრის სისტემამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. მოქმედი სისტემის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შერჩევითი შეჯიბრებების სერიების შემდეგ — ზონალური და ზონათაშორისო საერთაშორისო ტურნირები — ვლინდება უძლიერესი მოჭადრაკეები, რომლებიც პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში ერთმანეთს ეცილებიან უფლებას, ითამაშონ მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან.

რასაკვირველია, ასეთი სისტემა „ართულებს" მსოფლიო ჩემპიონის მდგომარეობას იმასთან შედარებით, რაც წინათ იყო. წინათ, როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონი დიდ ენთუზიაზმს არ ავლინებდა, როცა საქმე მიდგებოდა ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან მატჩის თამაშზე. პირიქით, მსოფლიო ჩემპიონი სიამოვნებით იღებდა შედარებით ნაკლებად საშიში მოწინააღმდეგეების გამოწვევას. ასეთებს შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად, ლასკერის მოწინააღმდეგეები — მარშალი, იანოვსკი და ტარაშიც კი, რომელიც 1908 წელს უკვე არც თუ ისე საშიში იყო; ნამდვილად ღირსეულ პრეტენდენტს ა. რუბინშტეინს კი არ ეღირსა ლასკერთან შერკინება...

შეიძლება მივმართოთ უფრო გვიან პერიოდს. ალიოხინმა ტიტანურ ბრძოლაში დაამარცხა კაპაბლანკა, და ამის შემდეგ ორჯერ ითამაშა მატჩი ბოგოლიუბოვთან, შემდგომ — ეივესთან. მაგრამ მატჩ-რევანში ალიოხინ-კაპაბლანკა არ შედგა, თუმცა ყველასათვის, მათ რიცხვში თვით ალიოხინისათვისაც, ნათელი იყო, რომ ალიოხინის მთავარი მეტოქე იმ დროს სწორედ კაპაბლანკა იყო. ახლა მხოლოდ გაკვირვებით შეგვიძლია მოვიგონოთ ყველა ეს უსამართლობა. ამჟამად მტკიცედ არის დაცული წესი, რომლითაც მსოფლიო ჩემპიონი იძულებულია მატჩში შეხვდეს მხოლოდ უძლიერესს — მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის კანდიდატების შესარჩევ მატჩ-ტურნირში გამარჯვებულს.

სხვათა შორის, ჩემი ორივე მატჩი, როგორც ბრონშტეინთან, ისე სმისლოვთან, ყაიმით დამთავრდა. რასაკვირველია, მე არ ვთვლი, რომ ეს ძალიან კარგი შედეგია მსოფლიო ჩემპიონისათვის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ორჯერვე მე ვთამაშობდი არა შემთხვევით პარტნიორებთან, არამედ უძლიერეს მოჭადრაკეებთან.

ჯერ-ჯერობით არ მომიგია არც ერთი მატჩი მსოფლიო პირველობაზე, მაგრამ გამორიცხული არ არის, ის რომ, თუ მე ვითამაშებდი მატჩს ისეთი ძალის გროსმაისტერებთან, როგორებიც იყვნენ ლასკერის და ალიოხინის მოწინააღმდეგეები, მაშინ ასეთი მატჩი მეც მომიტანდა გარკვეულ წარმატებას...

სანამ უშუალოდ მატჩის შეფასებაზე გადავიდოდე, შევეხები წინასამატჩო მომზადების საკითხს, რომელსაც უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს და შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს მატჩის მსვლელობაზე. მე, როგორც ცნობილია, შეჯიბრებისათვის მზადებას მუდამ სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებდი. მზადების პერიოდში, ჩემის აზრით, უნდა გადაიჭრას ორი საკითხი, რომელთაგან თვითეულს შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი ეგრეთწოდებული მოჭადრაკის სპორტული ფორმის განსაზღვრაში. პირველ რიგში აუცილებელია მოამზადო შენი თავი ფიზიკურად, შემდეგ კი უკვე სპეციალურადაც, ე. ი. ჭადრაკში.

უნდა ვაღიარო, რომ მზადება ჩემთვის მაინცდამაინც კარგად არ წარიმართა. სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებული ვიყავი შემეწყვიტა ქალაქგარეთ ყოფნა და მზადების უკანასკნელი პერიოდი მოსკოვში გამეტარებინა.

როგორც ჩემთვის ახლა გახდა ცნობილი, მატჩის მსვლელობისას ზოგიერთებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმაზე, რომ მე ხშირად ვიყენებდი ფრანგულ დაცვას. მე მგონი, ეს მთლად სამართლიანი არ არის. მსოფლიო პირველობაზე საჭადრაკო მატჩები, გარდა ჩემპიონის სახელწოდებისათვის სპორტული ბრძოლისა, როგორც წესი, ამავე დროს იყო მატჩის მონაწილეთა ორთაბრძოლა დებიუტების დარგში. გავიხსენოთ თუნდაც ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩი, რომელშიც 34 პარტიიდან 33 დაიწყო ლაზიერის პაიკის სვლით და ორივე მოწინააღმდეგე იყენებდა დაცვათა მეტად მცირე რაოდენობას. ფრანგული დაცვა სავსებით საიმედო დაცვაა და ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სხვა დებიუტებს. ისმება კითხვა: მაშ რატომ უნდა ვთქვათ უარი ამ დაცვის შემოწმებულ სისტემაზე?

მატჩის მეორე ნახევარში ბევრჯერ იქნა გათამაშებული ძველინდური დაცვა, რომელსაც წარმატებით იყენებდა სმისლოვი. მე მგონი ეს არ გვაძლევდა იმის უფლებას, რომ პრეტენზია წაგვეყენებინა სმისლოვისათვის — რატომ იყენებ ასე ხშირად ძველინდურ დაცვას. შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემი ამ დებიუტებში მიღებული შედეგებისა. 6 ფრანგულ პარტიაში სმისლოვმა მიაღწია უპირატესობას — 3,5:2,5 ქულა. ასეთივე უპირატესობა იყო მის მხარეზე ძველინდურ დაცვაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფრანგული დაცვა ცუდია, ხოლო ძველინდური — კარგი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პარტიებში გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია დებიუტს.

უფრო მეტი, ჩემის აზრით, დამთავრებულმა მატჩმა შემდგომი გამოკვლევებისათვის უფრო საინტერესო მასალა მოგვცა ფრანგულ დაცვაში, ვიდრე ძველინდურში. ზოგიერთებს ისიც კი მოუვიდათ თავში, რომ [illegible] სმისლოვმა ფრანგული პარტიის თამაშს გადამაჩვია... მათი „გულის მოსაკლავად" მე კვლავ გამოვიყენე ფრანგული დაცვა მატჩის დასასრულს (მე-19, 21-ე, და 23-ე პარტიებში).

ახლა, როცა მატჩი დამთავრებულია და შეიძლება გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ორივე პარტნიორის შემოქმედებაში იყო როგორც აღმაფრენის, ისე ჩავარდნის მომენტები.

რასაკვირველია, ორივე მატჩის, როგორც ბრონშტეინთან, ისე სმისლოვთან, შემოქმედებითი [illegible] სერიოზულად [illegible], მაგრამ რჩევას ვაძლევთ ასეთ კრიტიკოსებს, იქნება ის გროსმაისტერი თუ ოსტატი, ჯერ თავის თავზე გამოსცადოს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე სამატჩო ბრძოლის ყველა „მშვენიერება". აი, როცა იქნები ისეთ „ტყავში", როგორშიც ვიყავით ბრონშტეინი, სმისლოვი და მე, მაშინ ნათელი გახდება, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩი არ შეიძლება შევადაროთ რომელიმე ტურნირს, როგორი ძლიერი შემადგენლობისაც არ უნდა იყოს იგი.

აშკარა შეცდომები მართლაც ბევრი იყო, და ამასთან ისინი უფრო მეტი მე დავუშვი, ვიდრე სმისლოვმა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგჯერ კომენტატორები მაინცდამაინც სწორად ვერ აფასებდნენ ჩვენს შეცდომებს.

ვადარებ რა ახლა ერთმანეთს ორივე მატჩს, აღვნიშნავ, რომ მე და ბრონშტეინმა მეტი შეცდომები დავუშვით, ვიდრე სმისლოვმა. შეიძლება ითქვას აგრეთვე, რომ ამ მატჩში მე ნაკლები შეცდომები დავუშვი, ვიდრე ბრონშტეინთან.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა გადადებული პარტიების ანალიზის შესახებ. ბრონშტეინთან მატჩის დროს გადადებული პოზიციების ანალიზში გარკვეული უპირატესობა მე მქონდა. ამ მატჩში კი ანალიზის დარგში პარტნიორთა ძალა დაახლოებით თანაბარი იყო. გადადებული პარტიების დამთავრებისას სმისლოვის წარმატებები კიდევ იმით აიხსნება, რომ იგი კარგად თამაშობს ენდშპილს. ჩემის აზრით, სმისლოვის თამაშის სუსტი მხარეებია პარტიის დასაწყისი და შუა თამაშში სტრატეგიული ჩანაფიქრის გარკვეული შაბლონურობა.

ზოგიერთი „საქმის მცოდნე" საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის იმ დებულების წინააღმდეგია, რომ მატჩის საყაიმო შედეგის დროს მსოფლიო ჩემპიონი ინარჩუნებს თავის წოდებას. მაგრამ ეს უკვე მტკიცე ტრადიციაა და არა მგონია, რომ ამ ტრადიციის წინააღმდეგ გალაშქრება პოლემიკის ღირსი იყოს — პრეტენდენტი ვალდებულია სჯობნიდეს თავის მოწინააღმდეგეს, თუ მას სურს გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ, მე მგონი, სამართლიანი არ არის ის, რომ პრეტენდენტი, რომელმაც მატჩში საყაიმო შედეგს მიაღწია, არ სარგებლობს არავითარი განსაკუთრებული უფლებით.

რამდენიმე თვის წინათ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობას წინადადება მივეცი დაწყებული 1957 წლიდან, იმ შემთხვევაში, როცა მატჩის შედეგი საყაიმო იქნება, პრეტენდენტს მიენიჭოს „მსოფლიო ექს-ჩემპიონის უფლებები", ე. ი. უდავო უფლება, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე შემდეგ შეჯიბრებაში. ამ შემთხვევაში ასეთ მატჩში მონაწილეობას მიიღებდნენ მსოფლიო ჩემპიონი, პრეტენდენტი, რომელმაც წინა მატჩი ყაიმით დაამთავრა და კანდიდატთა მორიგ მატჩ-ტურნირში გამარჯვებული.

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი მოჭადრაკეთა სრულყოფისათვის და ამაში საბჭოთა მოჭადრაკეები ხედავენ იმ უდიდეს დახმარებას, რასაც უწევენ საჭადრაკო ხელოვნებას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. სახელმწიფოს ზრუნვას უნდა ვუპასუხოთ ჩვენი ოსტატობის ამაღლებისათვის უფრო შეუპოვარი მუშაობით.

★

ნაყოფიერად მუშაობს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტი, რომელშიც მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკე აღიზარდა. კაბინეტში საჭადრაკო ხელოვნების დაუფლებისათვის მოსწავლეებთან წარმოებს მრავალფეროვანი მუშაობა. ეწყობა თეორიული მეცადინეობები, საკვალიფიკაციო შეჯიბრებები, შეხვედრები რესპუბლიკის ცნობილ მოჭადრაკეებთან.

სურათზე: კაბინეტის ხელმძღვანელი ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე ატარებს მორიგ მეცადინეობას.

★

სალამი ჩინელ მეგობრებს!

歡迎中國籃球員！

★ ★ ★

სასურველი სტუმრები

ახალგაზრდული კოლექტივი

ჩვენი კალათბურთის ქალთა გუნდი ახალგაზრდაა როგორც ასაკით, ისე ტექნიკური მომზადების მხრივაც. მცირე ხნის განმავლობაში შევძელით ჩამოგვეყალიბებინა მზარდი სპორტსმენებით დაკომპლექტებული ერთსულოვანი კოლექტივი.

ხუ ინ-სინი მხოლოდ 17 წლისაა. კალათბურთს ერთი წელია თამაშობს, მაგრამ ნაყოფიერი წვრთნით სხვა წევრებთან ერთად სწრაფად იმაღლებს თამაშის ტექნიკას.

ყველას ძალზე გვიყვარს სპორტის ეს მიმზიდველი სახეობა და ვცდილობთ რაც შეიძლება საფუძვლიანად დავეუფლოთ მას. ჩვენი გოგონები დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ მომზადებას, კალათბურთის თამაშის რთული ილეთების დახვეწას.

თბილისში ჩამოსვლის მიზანია მაგალითი ავიღოთ საბჭოთა სპორტსმენებისაგან, დავეუფლოთ მათ მდიდარ გამოცდილებას, შევისწავლოთ ქართველ კალათბურთელთა მრავალფეროვანი ილეთები, რაც შემდგომ დიდად დაგვეხმარება წარმატებების მოპოვებაში. ამიტომაა, რომ ჩვენ მოუთმენლად ველით საწვრთნელ ამხანაგურ შეხვედრებს ქართველ მეგობრებთან.

周懿娴

ჯოუ ი-სიანი,
ქალთა გუნდის კაპიტანი.

გულწრფელი მადლობა

საბჭოთა კავშირში ჩვენი გუნდის გამომგზავრებამ დიდი სიხარული გამოიწვია. ყველას გვაინტერესებდა დიადი ქვეყნის ნახვა, მსოფლიოში უძლიერესი სპორტსმენებისა და გუნდების გაცნობა. ვიცოდით, რომ მათთან მეგობრული კავშირი ხელს შეუწყობდა ჩვენი გუნდების თამაშის ტექნიკის ამაღლებას. ასეც მოხდა: საბჭოთა ქვეყანაში ჩამოსვლისთანავე გუნდების წვრთნაში ჩვენ გვეხმარებიან რუსი სპეციალისტები ზინინი და იუხნო. ისინი სრულყოფენ ჩინელ კალათბურთელთა თამაშის ტაქტიკასა და ტექნიკას.

ქართველი კალათბურთელების სახით, რომლებსაც დღეს შევხვდებით საწვრთნელ ამხანაგურ მატჩში, საქმე გვაქვს დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძლიერ გუნდთან. ამიტომ მას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით

მადლობა მინდა გადავუხადო საბჭოთა სპორტსმენებს, მწვრთნელებს, საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გულითადი მასპინძლობისათვის. თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ ძვირფას მეგობრებთან იმყოფება.

牟作雲

მუ ძო-იუნი,
ვაჟთა გუნდის მწვრთნელი.

აღორძინების გზაზე

Დიდი ჩინელი ხალხის სპორტული დელეგაცია გულთბილად მიიღეს რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა. ყველგან, სადაც კი ისინი გამოჩნდებიან, ისმის გულწრფელი შეძახილები: სალამი მეგობრებს! გამარჯვება მოძმე ჩინეთს! დღეგრძელობა მაო ძე-დუნს!

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანი, სადაც საწვრთნელ მეცადინეობას გადიოდნენ ჩინელი კალათბურთელები, ყოველთვის ხალხით იყო სავსე. ვარჯიშის დაწყებამდე, შესვენებებში და შემდეგაც დედაქალაქის სპორტის მოყვარულნი გარს ეხვეოდნენ სტუმრებს და იმართებოდა საუბარი, უფრო ხშირად თარჯიმანის გარეშე. ჯან ჩან-ლუმ, ჩინელთა წამყვანმა მოთამაშემ, ერთხელ საუბარში ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია ახსენა. ახლა კი დაჭირდათ თარჯიმანი მსმენელებს. თარჯიმანმა განმარტა:

— ჯან ჩან-ლუ ამბობს, რომ იგი იცნობს ქორქიას, ჯორჯიკიას. ჰელსინკში, ოლიმპიური თამაშების დროს, ნახა მათი შესანიშნავი ტექნიკა. საერთოდ ჩვენთვის ცნობილია საქართველოს კალათბურთელთა მაღალი კლასი. საწვრთნელი თამაშები ბევრს ახალს შეგვძენს.

— გვიამბეთ თქვენი გუნდის შესახებ! — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ და ჯან ჩან-ლუს გვერდით მიუჯდა.

— ბავშვობიდანვე მიტაცებდა სპორტი, — თქვა ჯან ჩან-ლუმ — მაგრამ მეცადინეობის საშუალება როდი მქონდა. ნახევრადდანგრეულ ქოხში 3 სული ვცხოვრობდით. მცირეოდენი მიწიდან აღებული მოსავალი ნახევარ წელსაც არ გვყოფნიდა. მამა იძულებული იყო მდიდარ მემამულეს მოჯამაგირედ დადგომოდა.

ჩვენი ადამიანური ცხოვრება მას შემდეგ დაიწყო, რაც ჩინეთში სახალხო ხელისუფლებამ გაიმარჯვა და ჩინელ ხალხს მონობის უღელი მოხსნა. მე ის-ის იყო დავამთავრე საშუალო სკოლა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განგრძობაზე ვოცნებობდი... ერთ დღეს მამამ მიმიხმო და მითხრა:

— შენ სწავლა უნდა განაგრძო უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენი ხელისუფლება ამის საშუალებას იძლევა. — სწავლა უფასოა. მე და შენი მეგობრის ჩენ ვენ-ბინის მშობლებმა მოვილაპარაკეთ, ხარბინში გაემგზავრებით სასწავლებლად...

ამის შემდეგ ჯან ჩან-ლუს და ჩენ ვენ-ბინის ცხოვრება ახალი გზით წავიდა. მეგობრებმა საყვარელ სპორტად კალათბურთი აირჩიეს და მთელი ენერგიით შეუდგნენ ამ სექციაში მეცადინეობას. მალე ინსტიტუტში კალათბურთელთა ნაკრები გუნდი ჩამოყალიბდა. სიხარულმა მოიცვა მათი გული, როცა სიაში თავიანთი გვარიც ამოიკითხეს. დაიწყო ამხანაგური შეხვედრები მეზობელი სასწავლებლების გუნდებთან, რაც ხელს უწყობდა ჩინელ სტუდენტთა თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის ამაღლებას. მათ რიგებში ჩადგა მაღალი ტანის ჩენ ში-ჩუნიც. ერთ წელიწადში გუნდი ისე გაძლიერდა, რომ მთელ ქალაქში ტოლი არ ჰყავდა.

დაუვიწყარი იყო 1952 წელი, როცა ჯან ჩან-ლუ, ჩენ ვენ-ბინი და ჩენ ში-ჩუნი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ჩარიცხეს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად ჰელსინკში გაგზავნეს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

6 ივნისი

თბილისის „დინამოს" სტადიონი.
17 ს. 30 წ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდი (ქალთა) — „მედიკი" (თბილისი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდი (ვაჟთა) — „დინამო" (თბილისი).

9 ივნისი

თბილისის „დინამო" სტადიონი.
17 ს. 30 წ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდი (ქალთა) — „ნაუკა" (თბილისი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდი (ვაჟთა) — „ნაუკა" (თბილისი).

დიდი სიხარული

Მიმდინარე წლის აპრილში პეკინში შეიკრიბნენ ახალგაზრდა უძლიერესი კალათბურთელები. ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება არ ჰქონდათ. დაიწყო ენერგიული და დაძაბული ვარჯიში. ვაჟთა გუნდის მწვრთნელს მუ ძო-იუნს ამ საქმეში ეხმარებოდნენ ოლიმპიურ თამაშობათა მონაწილენი ჯან ჩან-ლუ, ჯან გუანლე, ჩენ ვენ-ბინი, ჩენ ში-ჩუნი და ლი ხან-ცინი. ასევე ნაყოფიერად ვარჯიშობდნენ კალათბურთელი ქალებიც.

უსაზღვრო იყო მათი სიხარული, როდესაც გაიგეს, რომ ბუდაპეშტში სტუდენტთა საზაფხულო თამაშებში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრებამდე ისინი საბჭოთა კავშირში მოაწყობდნენ საწვრთნელ მეცადინეობას.

მეგობრებთან

Სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთის მოედანი საზეიმოდ იყო მორთული. აქ შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. სრულ 6 საათზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის ტაშის გრიალში მოედანზე მოეწყვნენ წითელ მაისურებში გამოწყობილი სტუმრები. მასპინძლები ჩინელ მეგობრებს ყვავილების თაიგულებით შეხვდნენ. ყვავილებთან ერთად სპორტსმენებს საჩუქრად გადასცეს „ვეფხისტყაოსანი". შემდეგ ჩატარდა უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდების შეხვედრა ჩინელ კალათბურთელებთან.

• • •

3 ივნისს ჩინელი კალათბურთელები ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქ გორს ესტუმრნენ. როცა სტუმრებით სავსე ავტობუსი ძვირფას სახლთან გაჩერდა, სტუმრებს შემოეხვივნენ ახალგაზრდები — სტუდენტები, მოსწავლეები. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს დიდიხნის უნახავი მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს. სტუმრებმა ყურადღებით დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა.

გვიან ღამემდე გაგრძელდა მეგობრების გულთბილი შეხვედრა. ავტობუსმა გეზი თბილისისაკენ აიღო. გორელებმა მქუხარე ტაშით გააცილეს ძვირფასი სტუმრები.

ნ. ჯანდიერი

• • •

სურათზე: ზევით ჩინელი კალათბურთელები მეგობრულად საუბრობენ თბილისელ სპორტის მოყვარულებთან. ქვევით — ჩინელი კალათბურთელები საწვრთნელი თამაშის დროს.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

მდგომარეობა 6 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„დინამო" მ.	12	7	4	1	13:3	18
„სპარტაკი" მ.	12	7	1	4	24:14	15
„დინამო" კ.	12	5	5	2	17:12	15
„დინამო" თბ.	12	6	3	3	18:15	15
„სპარტაკი" მნ.	11	5	4	2	9:6	14
ცდსა	11	3	6	2	9:7	12
„კრ. სოვეტოვი"	11	5	2	4	10:10	12
„ტორპედო" მ.	11	4	2	5	17:17	10
„შრ. რეზერვები"	10	2	5	3	11:9	9
„ზენიტი"	12	2	5	5	12:18	9
„ლოკომოტივი" მ	12	1	6	5	3:9	8
„ლოკომოტივი" ხ.	11	2	3	6	6:17	7
„ტორპედო" გ.	11	0	4	7	4:16	4

„ა" კლასის ოსტატთა შეხვედრები

„სპარტაკი" (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი)

მინსკში შედგა მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ადგილობრივ „სპარტაკსა" და მოსკოვის „დინამოს" შორის.

გათამაშების ლიდერმა „დინამომ" განიცადა პირველი დამარცხება ჩემპიონატში ანგარიშით 0:1.

• • •

„შრ. რეზერვები" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)

2 ივნისს ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ „შრომითი რეზერვები" და მოსკოვის „სპარტაკი".

90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

• • •

„დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

გუშინ მოსკოვში გაიმართა საინტერესო შეხვედრა დედაქალაქის „დინამოსა" და „ტორპედოს" შორის.

თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

• • •

„ზენიტი" (ლენინგრადი) — ცდსა

ლენინგრადში ითამაშეს ადგილობრივმა „ზენიტმა" და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა. მატჩის ანგარიშია 1:1.

• • •

„დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მინსკი)

გუშინ კიევში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები „დინამო" (კიევი) და „სპარტაკი" (მინსკი).

კიეველებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 1:0.

თამაშების კალენდარი ფეხბურთში

„ა" კლასი

ივნისი

7. „სპარტაკი" (მ.) — „დინამო" (თბ.). **11.** „ლოკომოტივი" (მ.) — „დინამო" (კ.), „ზენიტი" — „კრ. სოვეტოვი". **12.** „სპარტაკი" (მ.) — „ტორპედო" (გ.). **14.** ცდსა — „სპარტაკი" (მნ.). **15.** „დინამო" (მ.) — „დინამო" (კ.), „შრ. რეზერვები" — „კრ. სოვეტოვი". **16.** „ტორპედო" (გ.) — „ლოკომოტივი" (მ.). **19.** „შრ. რეზერვები" — „დინამო" (მ.). **20.** „ლოკომოტივი" (მ.) — „ლოკომოტივი" (ხ.), „სპარტაკი" (მნ.) — „კრ. სოვეტოვი". **23.** „ტორპედო" (მ.) — „ლოკომოტივი" (ხ.). **25.** „ლოკომოტივი" (მ.) — „დინამო" (თბ.). **27.** „ტორპედო" (მ.) — „კრ. სოვეტოვი", „დინამო" (კ.) — „ტორპედო" (გ.), „შრ. რეზერვები" — „სპარტაკი" (მნ.). **29.** „დინამო" (მ.) — „დინამო" (თბ.). **30.** „ზენიტი" — „ლოკომოტივი" (ხ.).

მოჭადრაკეთა საკავშირო პლენუმი

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა მოჭადრაკეთა საკავშირო პლენუმი, რომლის მუშაობაში 150-მდე დელეგატი მონაწილეობდა.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის უფროსის ა. პრორვიჩისა და საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარის ვ. ვინოგრადოვის მოხსენებები ჩვენს ქვეყანაში ჭადრაკის განვითარების შესახებ და აგრეთვე ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ-ის“ რედაქტორის ვ. რაგოზინის მოხსენება ჟურნალის მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსულმა დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს საკავშირო კომიტეტის საჭადრაკო განყოფილებისა და საჭადრაკო სექციის მუშაობა. როგორც სამართლიანად აღნიშნავდნენ გამოსული ამხანაგები, უკანასკნელ წლებში განყოფილებისა და სექციის მუშაობა ფაქტიურად ამოიწურებოდა წამყვანი საბჭოთა მოჭადრაკეების მომზადებით და მათი გამგზავრებით საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მაშინ, როცა მოკავშირე რესპუბლიკებში საჭადრაკო მუშაობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ამის შედეგად მოკავშირე რესპუბლიკებში და დიდ ქალაქებში ჭადრაკის განვითარება თვითდინებაზეა მიშვებული.

პლენუმზე აღინიშნა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების არასრულყოფილი სისტემა და ის სერიოზული ნაკლოვანებები, რასაც ადგილი აქვს მოჭადრაკე ქალთა შორის მუშაობაში.

პლენუმის ერთ-ერთ მთავარ გადაწყვეტილებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების სისტემის შეცვლა. ნაცვლად მეოთხედფინალური ტურნირებისა, მომავალი წლიდან ჩატარდება ზონალური შეჯიბრებები. ყველა მოჭადრაკე, რომელსაც ექნება უფლება მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის პირველობაში, დაიყოფიან შემდეგ ზონებად: 1. მოსკოვი, 2. ლენინგრადი, 3. რსფსრ, 4. უკრაინა, 5. დასავლეთის ზონა (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ბელორუსია, კარელია-ფინეთი), 6. სამხრეთის ზონა (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდავეთი), 7. აღმოსავლეთის ზონა (ყაზახეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი).

სამხრეთის ზონის ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 16 მოჭადრაკე: აზერბაიჯანიდან და საქართველოდან 5-5, სომხეთიდან 4 და მოლდავეთიდან — 2 მოჭადრაკე. ზონალურ ტურნირში გამარჯვებული 5 კაცი მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში.

პლენუმის გადაწყვეტილებით მოკავშირე რესპუბლიკების პირველობაში უძლიერეს პირველთანრიგოსნებს შეუძლიათ, როგორც ეს ადრე იყო, შეასრულონ ოსტატობის კანდიდატის ნორმა. გარდა ამისა, რესპუბლიკის ჩემპიონს, საკავშირო საჭადრაკო სექციის თანხმობით, უფლება მიეცემა ითამაშოს სპორტის ოსტატთან საკვალიფიკაციო მატჩი სპორტის ოსტატის წოდებაზე.

პლენუმმა დააზუსტა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშების სისტემა. კოლექტივები, რომლებიც ფინალში გავლენ, ერთმანეთში გაითამაშებენ 1-8 ადგილს, როგორც ეს 1953 წელს იყო, დანარჩენი გუნდები გაითამაშებენ ყველა შემდგომ ადგილს.

პლენუმმა საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის წინაშე დააყენა მრავალი საჭირბოროტო საკითხი: მოსკოვში ცენტრალური საჭადრაკო კლუბის გახსნის, ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო კლუბებისათვის ტიპიური შტატების დადგენის შესახებ. საკითხი დაისვა აგრეთვე ახალი სახელმძღვანელოების გამოშვებისა და საჭადრაკო-საშაშო გაზეთის „64“-ის გამოცემის განახლების შესახებ.

ა. ბუსლაევი,
ოსტატობის კანდიდატი.

გაკეთებულია ვანიკას მიერ

ყოველი საწარმო, როცა პროდუქციას დღის სინათლეზე უშვებს, ზედ თავის იარლიყს აკრავს. ამას, რეკლამის გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვს — ყველამ უნდა იცოდეს ვისი პროდუქციაა კარგი და ვისი ცუდი. დახედავ იარლიყს, წაიკითხავ: „გაკეთებულია იქა და აქ“ და უკვე იცი, რომელ საწარმოსთან გაქვს საქმე.

ასეთი იარლიყი აქვს ყოველ საათს, კედლის იქნება ის, მაგიდის, ჯიბის თუ მაჯის. საყოველთაოდაა ცნობილი ჩვენი საათის ქარხნები, ყოველი მათგანის პროდუქციას შესაბამისი ნიშანი აქვს.

მაგრამ იცით თქვენ ასეთი ფირმა „ვანიკ“? გინახავთ ასეთი საათი?

არა?

მაშ მობრძანდით კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე და ნახეთ. ესაა კალათბურთის სპეციალური წამზომი — საათი, რომელსაც მკაფიოდ და ავტორიტეტულად აწერია — „ვანიკ“.

შარშან, როცა თბილისში სსრ კავშირის პირველობა ტარდებოდა კალათბურთში, ერევნიდან მოიწვიეს ვინმე ვანიკა, რომელმაც საათების გაკეთება იკისრა. თუმცა მან საკმაოდ დიდი თანხა ითხოვა საათებისა და ანგარიშის აღმრიცხველების გასაკეთებლად, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველომ, მას უარი არ უთხრა და შეთანხმება დადო.

საათები და აღმრიცხველები გაკეთდა. ყოველი საათი „დაამშვენა“ იარლიყმა — „ვანიკ“. ვინც ესწრებოდა საკავშირო პირველობის მატჩებს კარგად ეხსომებათ, რომ ვანიკას ნამუშევარი ჯერ კიდევ მაშინ იყო უვარგისი. წამზომი ხშირად ჩერდებოდა, აღმრიცხველი გულისწამღებად ხრიალებდა და ციფრების ლენტი რის ვაი-ვაგლახით მოძრაობდა.

ეს წუნიანი აპარატურა ახლაც დგას კალათბურთის სტადიონზე. ციფრების მაჩვენებელი ისეა მოწყობილი, რომ თუ ზუსტად პერპენდიკულარულად არ უზიხარ მას, ვერაფერს დაინახავ, ან რა საჭიროა დანახვა — იგი წამდაუწუმ ჩერდება. ასევეა საათიც — ცოტას იმუშავებს და მერე გაჩერდება.

ვანიკას რა ენაღვლება. ჩამოვიდა, რაღაცა მიახლაფორთა, ფული მიიღო და უკან დაბრუნდა. ვანიკა მოგებაშია. წააგეს კალათბურთელებმა, მსაჯებმა და მაყურებლებმა, რომლებიც თითებზე ითვლიან დროსა და ანგარიშს.

რ. აბაშელი



მოსწავლეთა სპარტაკიადები

სტალინირი

სტალინირში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის მოსწავლეთა საოლქო სპარტაკიადა. მონაწილეობდნენ სტალინირის I, II, III და IV სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლის, სტალინირის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონების მოსწავლე მძლეოსანთა გუნდები.

გოგონათა შორის 100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ზ. ზასოხოვამ (მესამე სკოლა), ვაჟთა შორის, ჩემპიონი გახდა ქ. დუდაევი (პედსასწავლებელი)

ვაჟებში ბირთვის კვრაში, შუბისა და ბადროს ტყორცნაში პირველი ადგილი დაიკავა მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. იამინმა, გოგონებს შორის ბირთვის კვრაში გაიმარჯვა ჯაველმა ნ. ჯაგაევამ.

1.500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ჩ. კასრაძემ (I საშუალო სკოლა). 400 მეტრზე რბენაში გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ს. რუბზენკომ (მესამე საშუალო სკოლა). 200 მეტრზე რბენაში — ნ. მაისურაძემ (მეოთხე სკოლა). სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ჯაველმა სოტოევამ. ვაჟთა შორის — მეორე სკოლის მოსწავლემ რ. ლოხოვმა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს სტალინირის მეორე და მეოთხე სკოლების ნაკრებმა გუნდებმა.

ვ. კასრაძე

ვანი

ვანის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადაში საშუალო სკოლებს შორის ფრენბურთსა და კალათბურთში პირველი ადგილი მოიპოვეს შუამთის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. რვაწლიანი სკოლებიდან კარგი შედეგებით გამოირჩნენ ზედავანის, მთის ძირისა და ქვედა ბზვანის სკოლები.

გოგონებს შორის 100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი წილად ხვდა მ. ღვინიანიძეს (შუამთის საშუალო სკოლა), ვაჟებს შორის გაიმარჯვა ა. შენგელიამ (ვანის საშუალო სკოლა). სიმაღლეზე ხტომაში გოგონებს შორის გაიმარჯვა უ. ძაგნიძემ, (ქვედა ბზვანის რვაწლიანი სკოლა), სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა დ. კორძაძემ (ვანის საშუალო სკოლა). ვაჟებს შორის ამ სახეობაში პირველი ადგილი წილად ხვდა ე. კორძაძეს (ისრითის საშუალო სკოლა). მეორე ადგილი—ქ. ადეიშვილს (ყუმურის საშუალო სკოლა).

ნ. კორძაძე.

სურათზე: თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში. ექიმები დაკვირვებას ახდენენ სპორტსმენის სისხლის წნევაზე საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ.
ფოტო გ. ფალიანისა.

ყოველი მხრიდან

მსოფლიოს ფეხბურთის მოედნებზე

ლონდონი. უემბლის სტადიონზე 100 ათასზე მეტი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ინგლისის თასის ფინალურ შეხვედრას „ვესტბრომვიჩისა“ და „პრესტონს“ შორის. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1. მეორე ტაიმში ვესტბრომვიჩის თავდამსხმელებმა გაიტანეს ორი ბურთი. თავის კარში კი მიიღეს მხოლოდ ერთი „ვესტბრომვიჩმა“ თასი უკვე მეოთხედ მოიპოვა (1888, 1894, 1931, 1954 წ. წ.).

• • •

ვარშავა. ამ დღეებში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის გუნდი „ტატრა“ და ქალაქ ვარშავის ნაკრები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

• • •

პრაღა. დასასრულს უახლოვდება ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის პირველი წრე. მოგვყავს პირველი ხუთეულის მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	10	6	2	2	19:10	14
„სლოვან“ (ბრატისლავა)	9	4	4	1	9:3	12
„ბანიკ“ (კლადიო)	9	4	4	1	16:6	12
„ბანიკ“ (ოსტრავა)	9	5	2	2	19:8	12
„რუდე გვეზდა“	9	5	1	3	12:7	11

• • •

ბუდაპეშტი. უნგრეთის პირველობის მეექვსე ტური აღინიშნა დიდი მოულოდნელობით. „ჰონვედმა“, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია უნგრეთის ნაკრების მოთამაშეებისაგან, პირველი დამარცხება განიცადა „ვაშაშთან“ შეხვედრაში.— 1:2. ერთადერთი ბურთი „ვაშაშის“ კარში გაიტანა პუშკაშმა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჰონვედი“	7	6	0	1	28:5	12
„ვაშაში“	8	5	2	1	15:8	12
„ვერეშ ლობოგო“	7	4	2	1	14:5	10

• • •

რომი. იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში 30 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	30	17	10	3	56:27	44
„იუვენტუსი“	30	17	10	3	48:28	44
„ფლორენტინა“	30	15	11	4	43:23	41

• • •

ამსტერდამი. მოეწყო ამსტერდამისა და ბუდაპეშტის ნაკრები გუნდების მატჩი. ბუდაპეშტის ნაკრებში შედიოდნენ გროშიჩი, ბუზანსკი, ლანტოში, ბოჟიკი, ლორანტი, ზახარიაში, ტოტი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში და ციბორი. თამაში აღინიშნა უნგრელთა აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 4:1.

• • •

ვენა. ავსტრიისა და უელსის ეროვნული გუნდების შეხვედრა დამთავრდა ავსტრიელთა გამარჯვებით — 2:0. აქვე გაიმართა შეხვედრა ავსტრიის ნაკრებსა („რაპიდის“ მოთამაშეების გარდა) და ინგლისის კლუბს „ტოტენჰემს“ შორის. გაიმარჯვეს ავსტრიელებმა — 2:0.

ზატოპეკის ორი რეკორდი

◆

ლ. გიორგაძე,
საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი მძლეოსნობაში.

◆

ამას წინათ, XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ემილ ზატოპეკმა შესანიშნავი შედეგები აჩვენა 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა, სპორტულ სამყაროს ორი ახალი მსოფლიო რეკორდი შემატა 5.000 მეტრზე რბენაში — 13:57,2 და 10.000 მეტრზე რბენაში 28:54,2.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ გავეცნობით მსოფლიოს რეკორდების ისტორიას ამ დისტანციებზე. პირველი ოფიციალური რეკორდი 5.000 მეტრზე რბენაში დამყარებულ იქნა 1897 წელს ფრანგ დუკუტის მიერ — 16:34,6. ორი წლის შემდეგ მან ეს შედეგი გააუმჯობესა 5,4 წამით. მალე მსოფლიო რეკორდს ამ დისტანციაზე დაეპატრონენ ინგლისელები, ჯერ ბენეტი და შემდეგ რობერტსონი. ინგლისელთა ჰეგემონიის ბოლო მოუღო ფინელმა ჰანეს კოლეხმაინენმა. მან 1912 წელს დისტანცია გაირბინა 14:36,6. ფინელები მსოფლიო რეკორდს 5.000 მეტრზე რბენაში 30 წლის განმავლობაში არავის არ უთმობდნენ. პაავო ნურმიმ და მისმა მოწაფეებმა ლეხტინენმა და მეკმა შედეგი აიყვანეს 14:08,8. 1942 წელს შვედმა გუნარ ჰეგმა პირველად გადალახა 14 წუთიანი ზღვარი და 5.000 მეტრზე რბენაში აჩვენა 13:58,2. ეს რეკორდი ზატოპეკამდე 12 წლის განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა. მისი გაუმჯობესება შეეძლო ცნობილ საბჭოთა მძლეოსანს ალექსანდრე ანუფრიევს (13:58,8), მაგრამ რბენის გრაფიკის უმნიშვნელო დარღვევამ ხეგის რეკორდი უცვლელი დასტოვა. დღეისათვის 5.000 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგებია: ზატოპეკი — 13:57,2; ჰეგი — 13:58,2; ანუფრიევი — 13:58,8; კოვაჩი (უნგრეთი) — 14:01,2; კუცი (სსრკ) — 14:02,2.

10,000 მეტრზე რბენაში პირველი ოფიციალური რეკორდი ეკუთვნოდა ინგლისელ უაიტს — 34:53,2. ეს შედეგი ნაჩვენებ იქნა 1863 წელს. 60 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა მსოფლიოს რეკორდისათვის ამ დისტანციაზე საფრანგეთისა და შვეციის სპორტსმენებს შორის, ხოლო 1921 წელს ფინელმა პაავო ნურმიმ მოუპოვა თავის სამშობლოს პირველი რეკორდი. 38 წლის განმავლობაში ფინელები ბატონობდნენ ამ დისტანციაზე. 1949 წლიდან მსოფლიოს რეკორდმა ფინეთიდან დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში გადაინაცვლა. ზატოპეკმა სამჯერ გააუმჯობესა მსოფლიოს ოფიციალური რეკორდი და მეოთხედ 1954 წელს აჩვენა ფენომენალური შედეგი 28:54,2. სხვათა შორის ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რეკორდი 29 წუთის ფარგლებს გასცდა. მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულის შედეგები 10.000 მეტრზე რბენაში, დღეისათვის ასეთია: ზატოპეკი 28:54,2; პირი (ინგლისი)— 29:16,2; კოვაჩი — 29:21,2; ანუფრიევი (სსრკ) 29:23,2; ნისტრემი (შვეცია) — 29:23,8.

შესანიშნავ ჩეხ სპორტსმენს ემილ ზატოპეკს დღეისათვის ეკუთვნის მსოფლიოს 8 რეკორდი გრძელ მანძილებზე რბენაში (მარათონული რბენის ჩათვლით) 5.000 მეტრზე — 13:57,2. 6 მილზე (9.656 მეტრი) — 28:08,4. 10.000 მეტრზე — 28:54,2. 1 საათიან რბენაში — 20 კილომეტრი, 52 მეტრი, 15 მილი 1.16:26,4, 25 კილომეტრზე — 1.19:11,8, 30 კილომეტრზე — 1.35:23,8, მარათონულ რბენაში — 2.23:03,2.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04611